საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №

MES 5 22 0000883863

09/08/2022

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის იურიდიული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე [redacted] დანიშვნის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 22 წლის 20 ივნისის N675919 ბრძანების თანახმად, გამოცხადდა კონკურსი სამინისტროს იუ რიდიული დეპარტამენტის იურიდიული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის თამარ სირიას 2022 წლის პირველი აგვისტოს N863689 მოხსენებითი ბარათით, კონკურსის შედეგების შესაბამისად, იურიდიული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენილი იქნა [redacted] კანდიდატურა.

,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის 43-ე მუხლის, „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილების, საკონკურსო კომისიის 2022 წლის 26 ივლისის N5 სხდომის ოქმის, [redacted] 2022 წლის 09 აგვისტოს N884295 განცხადებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ'' და ,,ლ'' ქვეპუნქტების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. [redacted] 2022 წლის 09 აგვისტოდან დაინიშნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის იურიდიული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე.

2. [redacted] თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს საშტატო ნუსხის შესაბამისად.

3. ბრძანების შესაბამისი პირებისადმი გაცნობა დაევალოს სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში (ქალაქი ბათუმი, გამსახურდიას ქ. N9) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მაია ხაჯიშვილი
მ ი ნ ი ს ტ რ ი